

COVID19-მშობლობა თამაშით სწავლა

მილიონობით ბავშვისთვის დაიხურა სკოლა რამაც ისინი საკუთარ სახლებში იზოლაციაში მოაქცია. ეს რჩევა შეეხება სწავლის პროცესს თამაშის მეშვეობით - რაღაც რაც შესაძლოა გასართობიც კი იყოს ყველა ასაკის ადამიანისთვის!

თამაშის სახეობები

- არსებობს უამრავი მრავალსახეობა თამაშისა რომელიც ერთდროულად შეიძლება იყოს გასართობიც და საგანმანათლებლოც.
- ენა, რიცხვები, საგნები, დრამა და მუსიკალური თამაშები ბავშვებს აძლევენ შესაძლებლობას ისწავლონ და ამავდროულად გამოხატონ საკუთარი თავი უსაფრთხოდ და ხალისიანად.



მოძრაობითი თამაშები

- დადგით ცეკვები თქვენი შვილების საყვარელ სიმღერებზე. ერთი ადამიანი აჩვენებს სხვებს ცეკვის მოძრაობებს, დანაჩენები იმეორებენ, შემდეგ ყველა რიგ-რიგობით ირგებს წამყვანის როლს.
- "გამოწვევა" მდგომარეობს შემდეგში- ვინ უფრო მეტჯერ შეეხება ფეხის თითებს - ეს არის ვარჯიში ადგილზე სტოპით და პერიოდულად წელში მოხრით ფეხის თითებზე შეხებით.
- ერთმანეთის "სარკისებური მიბაძვა" - სახის გამომეტყველებაში, მოძრაობებში, ვოკალიზაციაში. ერთი ადამიანი, რომელიც არის წამყვანი, იწყებს, ხოლო დანარჩენები იმეორებენ. შეგიძლიათ სცადოთ წამყვანის გარეშე!
- ცეკვა "Freeze": ჩართეთ მუსიკა ან ვინმე იწყებს სიმღერას და შემდეგ ყველა იწყებს ცეკვას. როდესაც მუსიკა ჩერდება, ყველა უნდა "გაიყნოს" ადგილზე. ბოლო ადამიანი რომელიც ვერ მოასწრებს გაჩერებას მუსიკის შეწყვეტისთანავე, ტოვებს თამაშს და ხდება თამაშის მეორე რაუნდის მსაჯი.
- ცხოველების ცეკვა: ყველაფერს აკეთებთ იგივენაირად როგორც ნემოთ მოცემულ თამაშში, მხოლოდ ერთი განსხვავებით: როდესაც მუსიკა ჩერდება, თქვენ დაიყვირებთ რომელიმე ცხოველის სახელს და ყველა მოთამაშე ვალდებულია "გადაიქცეს" ამ ცხოველად.

ისტორიების მოყოლა

- მოუყევით თქვენს შვილებს რაიმე ისტორია თქვენი საკუთარი ბავშვობიდან
- სთხოვეთ თქვენს შვილებს მოგიყვენ რაიმე ამბავი
- შეთხზეთ ახალი ისტორია ერთად, რომელიც დაიწყება ასე: "იყო და არა იყო რა..." თან ყოველი მოთამაშე ამატებს ახალ წინადადებას ამ ისტორიას როდესაც მისი ჯერი მოვა.
- გაითამაშეთ თქვენი საყვარელი ისტორია ან ფილმი - ამ დროს უფროს შვილებს შეუძლიათ ასწავლონ უმცროსებს.

შეცვალეთ ნივთები!

- ყოველდღიური საოჯახო ნივთები, როგორცაა ცოცხი, იატაკის საწმენდი ტილო, და ა.შ. გამოგადგებად თამაშებისთვის.
- მოათავსეთ ნივთი ოთახის შუაგულში და იმ შემთხვევაში თუკი ვინმეს გაუჩნდება იდეა, გამოდის და აჩვენებს დანარჩენებს თუ რა შეიძლება იყოს ეს საგანი
- მაგალითად: ცოცხი შეიძლება გადაიქცეს ცხენად ან მიკროოფონად ან გიტარადაც კი!

მეხსიერების თამაში

- ამ თამაშის დაწყებისას პირველი მოთამაშე ამბობს: "როდესაც კოვიდ 19 -ის კარანტინი დამთავრდება, ვაპირებ.... (მაგ: წავიდე პარკში...)"
- მეორე მოთამაშე აგრძელებს პირველის მიერ დაწყებულ ფრაზას საკუთარი წინადადებით "როდესაც კოვიდ 19 -ის კარანტინი დამთავრდება, ვაპირებ წავიდე პარკში და ვესტუმრო ჩემს საუკეთესო მეგობარს!"
- თამაშის ყოველი მონაწილე უკვე გამოთქმულ წინადადებებს ამატებს საკუთარ, სახალისო იდეას, თუ რას გააკეთებს როდესაც კარანტინი დამთავრდება

სიმღერა

- შვილისთვის სიმღერების მღერა ეხმარება ენის განვითარებას.
- დაუკარით ან წაიმღერეთ რაიმე სიმღერა და ის ვინც პირველი მას გამოიცნობს განდება თამაშის შემდეგი წამყვანი
- შეთხზეთ სიმღერა მაგალითად ხელის დაბანაზე ან ფიზიკურ დისტანციაზე, შემდეგ დაუმატეთ ცეკვის ელემენტებიც!



დამატებითი ინფორმაციისთვის გადადით შემდეგ ლინკებზე:

რჩევები მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისგან (WHO)

რჩევები UNICEF-სგან

სხვა ენები

მტიკვებულებზე- დაფუძნებული



The mark "CDC" is owned by the US Dept of Health and Human Services and is used with permission. Use of this logo is not an endorsement by HHS or CDC of any particular product, service, or enterprise.